



სპეციალური  
საგამოძიებო  
სამსახური

**GYLA.GE**

საია ეხმაურება სპეციალური საგამოძიებო  
სამსახურის მიერ, სოციალურ ქსელ Facebook-ში  
განთავსებულ განცხადებას, რომელიც  
საზოგადოების შეცდომაში შეყვანია.

**საია ეხმაურება სპეციალური  
საგამოძიებო სამსახურის განცხადებას,  
რომელიც საზოგადოების შეცდომაში**

## შემყვანია

2023 წლის 27 ივლისს ცნობილი გახდა, რომ სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არ დაინყო გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, გოგა რაზმაძის საქმეზე იმ დასაბუთებით, რომ მისი განცხადება არ შეიცავდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განხილვას დაქვემდებარებული დანაშაულის ნიშნებს და განცხადება გამოძიების დაწყების თაობაზე გადაუგზავნა იმავე უწყების უფროსს, რომლის მოადგილის მხრიდან განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაზეც ითხოვდა გამოძიების დაწყებას გოგა რაზმაძე. ამასთან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი წერილში უთითებდა იმას, რომ გოგა რაზმაძემ არ ისურვა გამომძიებელთან გასაუბრება გამოძიების დაწყებამდე. რეალურად, გამოძიების დაწყებამდე  არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობა, შესაბამისად, უკანონო  მოქმედებაში  მონაწილეობაზე უარი, არასწორად იქნა აღქმული თანამშრომლობაზე უარად.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 27 ივლისის წერილის პასუხად, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ გამოაქვეყნა [განცხადება](#), სადაც, კიდევ ერთხელ, მკაფიოდ გაჟღერდა, რომ გამოძიების დაწყების შემთხვევაში, გოგა რაზმაძე მზად იყო გამოძიებისთვის მიეწოდებინა სრულყოფილი ინფორმაცია. ამავდროულად, 2023 წლის 4 აგვისტოს, გოგა რაზმაძემ განცხადებით მიმართა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს - ვოვა ვაციტაძეს და მოითხოვა, მათ შორის, მის განცხადებასთან დაკავშირებით გამომძიებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება და მის განცხადებაში მითითებულ, შესაძლო დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების ეფექტიანი გამოძიება. ასევე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორს და მოითხოვა გამოძიების დაწყება გოგა რაზმაძის საქმეზე. ამ განცხადებაშიც აღნიშნულია გოგა რაზმაძის მზაობა, ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

გოგა რაზმაძის 2023 წლის 4 აგვისტოს, ვოვა ვაციტაძისთვის გაგზავნილი წერილის საპასუხოდ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის Facebook გვერდზე განთავსდა განცხადება, სადაც გაჟღერებულია მონოღება, რომ გოგა რაზმაძემ ითანამშრომლოს გამოძიებასთან. აღნიშნული განცხადება სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობა, ვინაიდან, გამოძიება არ დაწყებულა. შესაბამისად, ბუნებრივია, გოგა რაზმაძე ვერ ითანამშრომლებს გამოძიებასთან, რომელიც არ არის

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დანყებული.

ამასთან, თუკი სპეციალური საგამოძიებო სამსახური რეალურად მონოღებულია გოგა რაზმაძის ინტერესების დაცვისკენ, მას აქვს ყველა შესაძლებლობა, გააკეთოს ეს კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმებით, კერძოდ,

დაინყოს გამოძიება ნაცვლად იმისა, რომ ითხოვს საკანონმდებლო დონეზე არარსებულ  მონაწილეობას  კიდევ ერთხელ, გვსურს მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ გოგა რაზმაძეს არასოდეს განუცხადებია უარი გამოძიებასთან თანამშრომლობაზე. იგი მზადაა, გამოძიების დანყების შემთხვევაში, მას მიანოდოს დამატებითი ინფორმაცია.